ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5668374

ნომერი: AR1856370

თარიღი : 24.10.2021

გაცემის თარიღი : 03.11.2021

გაცნობის თარიღი : 06.11.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა, N 84;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ცოტნე ომსარაშვილი პ/ნ 01005032076
- თბილისი ნ.ფიროსმანის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 24 ოქტომბერს №AR1856370 განცხადებით მომართა ცოტნე ომსარაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის

11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, კვირაცხოვლის ქუჩა №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.034.453), ავტოსერვისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 22 ოქტომბრის №5648367 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 22 ოქტომბრიდან 2023 წლის 22 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებით შეთანხმებულ „გ-ა“ ფასადზე და ღიობების სპეციფიკაციაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ღიობების ზომებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი „გ-ა“ ფასადი და ღიობების სპეციფიკაცია შეადარა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, „გ-ა“ ფასადი არ იცვლება, ხდება მხოლოდ ღიობების ზომების დაზუსტება და შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული „გ-ა“ ფასადი და ღიობების სპეციფიკაცია ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი „გ-ა“ ფასადით და ღიობების სპეციფიკაციით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 11 ოქტომბრის №5632260 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.